ანა კალანდაძის საკონკურსო დებულება

1.ზოგადი დებულებები:

1.1.კონკურსის ორგანიზატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.

1.2.კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სრულწლოვან ფიზიკურ პირებს პროფესიონალ მოქანდაკეებს, რომელთათვისაც სავალდებულოა კონკურსის პირობების დაცვა და შესრულება.

1.3.კონკურსში მონაწილეობა ნიშნავს ავტორის თანხმობას ესკიზის ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

1.4.კონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება არანაკლებ ერთი კონკურსანტის მონაწილეობის შემთხვევაში.

1.5.კონკურსის ჩატარების ადგილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, რუსთაველის გამზირი №3.

2. კონკურსის მიზანი:

2.1.პოეტ ანა კალანდაძის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით პორტრეტული ბიუსტის დამზადება პიედესტალით.

2.2. პორტრეტული ბიუსტის განთავსების ადგილი: ქ.ქუთაისი, ახალგაზრდობის პარკი.

3. კონკურსის ჩატარების პირობები:

3.1.კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იყოს პორტრეტული ბიუსტის ესკიზი - ნატურა ნახევარი ზომის მაკეტის სახით.

3.1.1. ესკიზი დამზადებული უნდა იყოს რბილი მასალისაგან და შეფუთული ისე, რომ დაცული იყოს დაზიანებისგან.

3.1.2. მაკეტს თან უნდა ახლდეს სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ორ ეგზემპლარად (ელ. ვერსია excel ფორმატში), ასევე პორტრეტული ბიუსტის განსათავსებელი ტერიტორიის, საერთო ხედებისა და აღნიშნულ ტერიტორიაზე პორტრეტული ბიუსტის გაშლის ამსახველი ფოტო მასალა, მასშტაბების მითითებით (ფოტომონტაჟი).

3.2.მონუმენტური სახვითი ხელოვნების პორტრეტული ბიუსტის პარამეტრები: ზომა: ნატურა ნახევარი; მასალა: ჩამოსხმული თითბერში გრანიტის კვარცხლბეკზე; ზომა: 1,5X30/30-ზე.

3.2.1. პიედესტალის მასალა: განთავსდეს ადგილზე არსებული ტერიტორიის აგროდიზაინის გათვალისწინებით.

3.2.2. საძირკველი: შესაბამისი გამოთვლებით, პორტრეტული ბიუსტის ზომის გათვალისწინებით.

3.2.3. აღნიშნული პორტრეტული ბიუსტი უნდა იყოს სივრცეში თავსებადი.

3.2.4. პორტრეტული ბიუსტის განთავსებისთვის ადგილის შერჩევა მოხდება შემსყიდველის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.

3.3.კონკურსანტებმა ნამუშევრები წარმოადგინონ ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: რუსთაველის გამზირი №3); ასევე, პირადი მონაცემები: სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა.

3.4.ერთი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ესკიზის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთს.

3.5.ანა კალანდაძის პორტრეტული ბიუსტის დამზადება პიედესტალით კონკურსი ცხადდება ერთ ტურად. სამუშაო ენა ქართული.

3.6.ჟიურის აქვს უფლება ესკიზები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საკონკურსო პირობებში მითითებულ პარამეტრებს, არ განიხილოს კონკურსში მონაწილეობისთვის.

3.7.კონკურსის გამარჯვებულები სპეციალურ შეტყობინებას მიიღებენ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

3.8.კონკურსის ორგანიზატორებისგან შეტყობინებას მიიღებენ ასევე კონკურსის მონაწილეებიც, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ.

4. საკონკურსო კომისია:

4.1.საკონკურსო კომისია დაკომპლექტდება მოქანდაკეებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ბრძანებით.

5. შეფასების კრიტერიუმები:

5.1.კონკურსში წარმოდგენილი ნამუშევრების შეფასებას ახდენს კომისია. გამარჯვებულების გამოვლენისას კომისია იხელმძღვანელებს საკონკურსო ნამუშევრის მხატვრული ღირებულებით და კონკურსის თემასთან ესკიზის შესაბამისობის ხარისხით.

5.2.ასევე გათვალისწინებული იქნება:

5.2.1. შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

5.2.2. ესკიზის შესრულების ტექნიკური დონე და მხატვრული გადაწყვეტა.

5.2.3. შესრულების სიზუსტე.

5.2.4. უსაფრთხოება (მუშაობის პროცესში).

5.3. თითოეული კომპონეტის შეფასება მოხდება 10 ბალიანი სისტემით.

5.4. თითოეული კონკურსანტი შეფასდება წარმოდგენილი ფასის, ესკიზისა და გამოცდილებიდან გამომდინარე.

6. კონკურსის ჩატარების კალენდარული გრაფიკი:

6.1.კონკურსი გამოცხადდება: 2024 წლის 14 აპრილიდან; წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2024 წლის 1 ივნისი.

6.2. დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: ქ.ქუთაისი,რუსთაველის გამზირი №3, IV სართული; კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური; ელექტრონული ფოსტით მისამართზე: culturekutaisi@gmail.com

6.3. კომისიის სხდომა შედგება 2024 წლის 3 ივნისს.

6.4.კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2024 წლის 4 ივნისს ჟიურის მიერ კენჭისყრის დასრულებისთანავე.

7. დროებითი კომისიის მუშაობის წესი:

7.1.კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

7.2. კომისიის წევრს არ აქვს კონკურსში მონაწილეობის უფლება.

7.3. გამარჯვებული გამოვლინდება კენჭისყრის გზით.

7.4. გამარჯვებულად ცხადდება ის ესკიზი, რომელიც მიიღებს ხმების უმრავლესობას.

7.5. თუ ორმა ან მეტმა საკონკურსო ნამუშევარმა დააგროვა თანაბარი რაოდენობის ქულები, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7.6. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს აქვს უფლება თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება აღნიშვნა.

7.7. დროებითი კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

7.8.ჟიურის მიერ ხელმოწერილი ოქმი დასამტკიცებლად წარედგინება ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს.

Ioseb Khakhaleishvili

Digitally signed by Ioseb Khakhaleishvili
DN: cn=Ioseb Khakhaleishvili, serialNumber=PNOGE-60001030418, givenName=Ioseb, sn=Khakhaleishvili, o=Citizen, c=GE
Date: 2024.03.25 15:46:31 +04'00'